აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 28

07 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციაულური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების „ქართული დასის“, „ჩვენ თვითონ“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბილეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის უმაღლესი 2008 წლის 05 სექტემბრის №34 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებების ე. წ. „ვიდეოთვალის“ განთავსების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ა, მიქელაძე)

6. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებით კენჭისყრისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ;

(თ. შარმანაშვილი)

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბილეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის ორ წევრსა და უსკოს მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე წარმოადგენენ არა უმეტეს სამ დამკვირვებელს. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი იყო წინა სხდომის განხილვის საგანი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ არ იქნა შერჩეული კანდიდატები, ეს საკითხი კვლავ იქნა გამოტანილი კომისიის სხდომაზე. ასევე აღნიშნა, რომ კომისიის წევრების მხრიდან ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების სურვილი გამოთქვეს ასლან ჩავლეიშვილმა და ლევან გაბრიჩიძემ, ხოლო დამკვირვებელი ორგანიზაციებიდან აღნიშნულ პროცესზე დაკვირვების სურვილი გამოთქვეს „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ (წარმომადგენელი გია მამუკელაშვილი) და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (წარმომადგენლები გოდერძი კაპანაძე და ნინო ბიბილეიშვილი), რომლებიც დააკვირდებიან ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 63-ე მუხლის 13-ე პუნქტისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭვდის პროცესზე შეიქმნას დამკვირვებელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ასლან ჩავლეიშვილი - კომისიის წევრი;

ბ) ლევან გაბრიჩიძე - კომისიის წევრი;

გ) გია მამუკელაშვილი - ,,ახალი თაობა - ახალი ინიციატივა";

დ) გოდერძი კაპანაძე - ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება";

ე) ნინო ბიბილეიშვილი - ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის უმაღლესი 2008 წლის 05 სექტემბრის №34 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის №34 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის უმაღლესი საარჩევნო კომისიის №34 განკარგულებით დამტკიცებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა. ან აღნიშნა, რომ აღნიშნულ დანართში ცვლილების შეტანა ძირითადად

განპირობებული იყო იმით, რომ 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების დაფინანსების გეგმიდან გამონთავისუფლებული ნაშთი გამოყენებული იქნას 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნებისათვის. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დანართში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის №34 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებების ე. წ. „ვიდეოთვალის“ განთავსების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებების ე. წ. „ვიდეოთვალის“ განთავსების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, 2008 წლის 3 ნოემბრის განმეორებითი და ხელახალი არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის სხვა საშუალებების ე. წ. „ვიდეოთვალის“ განთავსება მოხდეს №83 ხელვაჩაურის ოლქში შემავალ საარჩევნო უბანსა და №82 შუახევის საარჩევნო ოლქის იმ შვიდ უბანზე, რომლებზე განმეორებით ჩატარდება არჩევნები, ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ „ვიდეოთვალების“ დემონტაჟი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქიდან და №82 შუახევის და №83 ხელვაჩაურის ოლქებში შემავალ უბნებზე განთავსება კანონდარღვევაა, რადგან №79 ბათუმის ოლქში შემავალ უბნებზე, სადაც დამონტაჟებული იყო „ვიდეოთვალი“, მისი ინფორმაციით რამოდენიმე უბანზე დაწერილია საჩივარი და ჯერ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული. გარდა ამისა ეს არის ზედმეტი თანხების ხარჯვა, იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებულ ვიდეოთვალს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იმ საარჩევნო უბანზე, რომლის შესახებაც დაწერილია საჩივარი და მიმდინარეობს სასამართლო განხილვა, ამ უბნებიდან არ მოხდება „ვიდეოთვალების“ დემონტაჟი, ვიდრე მოცემულ საკითხზე არ გვექნება საბოლოო გადაწყვეტილება.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 1;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის 13-ე პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე. წ. „ვიდეოთვალი“ განთავსდეს №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა საარჩევნო უბნებზე არსებულ კენჭისყრის შენობებში (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით ვიდეოდაკვირვება და ჩაწერა აკრძალული ან შეზღუდულია).

2. არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე. წ. „ვიდეოთვალი“ აგრეთვე განთავსდეს ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის შუახევის საარჩევნო ოლქში შემავალ შუახევის ტერიტორიაზე შექმნილ №6, №7, №12, №13, №17, №43 და №48 საარჩევნო უბნებზე არსებულ კენჭისყრის შენობებში (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით ვიდეოდაკვირვება და ჩაწერა აკრძალული ან შეზღუდულია).

3. კენჭისყრის შენობაში დამონტაჟდეს ორი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელთაგან ერთი გააკონტროლებს გამჭირვალე საარჩევნო ყუთში კონვერტების ჩაგდების პროცესს, ხოლო მეორე-სარეგისტრაციო მაგიდებს, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა კენჭისყრის შენობაში უნდა განლაგდეს ისე, რომ არ დაირღვეს ხმის მიცემის ფარულობა.

4. კენჭისყრის შენობაში, სადაც განთავსებული იქნება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ, ამ სისტემის მიერ გადაღებული მასალა გონივრულ ვადაში (ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე) გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ მასალას საარჩევნო ოლქში კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე გადასცემს უსკოს.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მან აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები მიღებული იქნა 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის, 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის რამდენიმე საარჩევნო დოკუმენტაციაში უნდა შევიდეს ცვლილება და მან კომისიას წარუდგინა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმების ფორმები. მომხსენებელმა ისაუბრა აღნიშნული ფორმის შევსების წესებსა და პირობებზე და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა)კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ფორმა.

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07. 64.02);

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმი (ფორმა №1-07.65.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი კენჭისყრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი კენჭისყრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის დამტკიცებულ არჩევნების მომზადებისა და დაფინანსების გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილება, რის გამოც გამონთავისუფლებული იქნა ნაშთის სახით 156 240 ლარი ხელახალ არჩევნებისათვის, რაც გამოყენებული იქნება განმეორებით და ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 54-ე მუხლის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა თანახმად დანართისა.

2. არჩევნების დაფინანსების გეგმა გადაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

6. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებით კენჭისყრაზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებით კენჭისყრაზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს დადგენილებით განსაზღვრავს უსკო. 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებს ესაჭიროებათ ფულადი სახსრები – საკანცელარიო, სატრანსპორტო და სხვა ხარჯებისათვის. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი თანხები ჩაირიცხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 34-ე მუხლის 1^1 პუნქტის თანახმად ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია